*დანართი №1*

განათლების
ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

# საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## ევროპისმცოდნეობა, საბაკალავრო

## შპს კავკასიის უნივერსიტეტი

თბილისი

## შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ............ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა ............ 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან ............ 7

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა ............ 7

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა ............ 12

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა ............ 17

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა ............ 19

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები ............ 25

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს - კავკასიის უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205050567 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| **თავმჯდომარე** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ზურაბ ზურაბაშვილი, სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ანი ქვათაძე, შპს-ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

[1]ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში:მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად) | ევროპისმცოდნეობა |
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად) | European Studies |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | ევროპისმცოდნეობის ბაკალავრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0388 |
| ზოგადიგანათლებისშესაბამისისაფეხურისსაგნის/საგნების/საგნობრივიჯგუფისსწავლებისუფლებისმითითება [3] | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №158 |
| პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები) | - |

[2]უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთადერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა მრავალმხრივი და ინტერდისციპლინური ხასიათის მატარებელია. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციისა და პრაქტიკული უნარების მქონე სპეციალისტების მომზადება, რომელთაც ექნებათ ევროპის წამყვანი ქვეყნების ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის, სამართლის და სოციალური პროცესების, აგრეთვე ევროინტეგრაციის, ევროპული იდენტობისა და ევროპული მოქალაქეობის მნიშვნელობის, ევროპული პოლიტიკური კულტურის თავისებურებებისა და პოლიტიკური პროცესის სპეციფიკის შესახებ ფართო ცოდნა. შეიძლება ითქვას, რომ ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს (მე-6 საფეხური) და პასუხობს პროგრამისთვის წაყენებულ მოთხოვნებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მ/შ ბრძანების საფუძველზე შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელთაც დაევლათ შპს - კავკასიის უნივერსიტეტის "ევროპისმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელება.
შპს - კავკასიის უნივერსიტეტის მიერ ცენტრში 2024 წლის 2 დეკემბერის №1791-CU2 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის - №1545102, 02/12/2024; №1545635, 03/12/2024) წარმოდგენილი "ევროპისმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით ექსპერთა ჯგუფის წევრებმა განიხილეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში წარადგინეს შესაბამისი დასკვნის პროექტი.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს (მე-6 საფეხური) და პასუხობს პროგრამისთვის წაყენებულ მოთხოვნებს.

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

---

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- საუკეთესო პრაქტიკისმოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარებისარგუმენტაციის თაობაზე

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

[5]პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა მრავალმხრივი და ინტერდისციპლინური ხასიათის მატარებელია. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციისა და პრაქტიკული უნარების მქონე სპეციალისტების მომზადება, რომელთაც ექნებათ ევროპის წამყვანი ქვეყნების ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის, სამართლის და სოციალური პროცესების, აგრეთვე ევროინტეგრაციის, ევროპული იდენტობისა და ევროპული მოქალაქეობის მნიშვნელობის, ევროპული პოლიტიკური კულტურის თავისებურებებისა და პოლიტიკური პროცესის სპეციფიკის შესახებ ფართო ცოდნა. საბალაკალაბრო პროგრამის მიზნები მოდიფიცირდა ეროვნული კვალიგიკაციების ჩართოსთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, რაც ასახულია თვითსეფასების ანგარიშში. შეიძლება ითქვას, რომ ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს (მე-6 საფეხური) და პასუხობს პროგრამისთვის წაყენებულ მოთხოვნებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

- არ გვაქვს

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არ გვაქვს

**შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.1პროგრამის მიზნები | ● | ☐ | ☐ | ☐ |

○

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სწავლის შედეგები თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან. აღწერილია სულ 9 შედეგი, რომლებიც მკაფიოდაა ფორმულირებული და პასუხობს პროგრამის ინტერდისციპლინურ ბუნებას. სწავლის შედეგები ფორმულირებულია ახლანდელ დროში აქტიური ზმნების გამოყენებით, შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის შედეგების კლასიფიკატორით განსაზღვრულ სტანდარტებთან. ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამით სწავლის შედეგად სტუდენტი იღებს სრულყოფილ, მრავალმხრივ და ინტერდისციპლინურ ცოდნას ევროპის შესახებ, რომელიც შესაბამისობაშია ბაკალავრის ხარისხის მოთხოვნებთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- უსდ-ს ვებგვერდი

**რეკომენდაციები:**

- არ გვაქვს

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არ გვაქვს

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | ● | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლის შედეგების შეფასების სხვადასხვა მეთოდები და შესაბამისი აქტივობები, რომლებიც ასახულია სასწავლო კურსის სილაბუსებში, ასევე საბაკალავრო პროგრამის აღწერილობაში. უსდ-ში ვიზიტი არ განხორციელებულა, შესაბამისად, ვერ ვიტყვით, რამდენად არის უზრუნველყოფილი სწავლის შედეგების მიღწევა შესაბამისი სასწავლო ინფრასტრუქტურით და სხვა საშუალებებით/მექანიზმებით, რომელთა შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ადგილზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- სასწავლო კურსების სილაბუსები

**რეკომენდაციები:**

- არ გვაქვს

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არ გვაქვს

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.3პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | ● | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამებისდაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამა შედგენილია ECTS ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით. 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. პროგრამა მოიცავს ძირითადის სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებს (225 კრედიტი) და თავისუფალ კომპონენტებს (15 კრედიტი). თითოეული სემესტრის მოცულობა არის - 30 კრედიტი.

პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი (8 სემესტრი). პროგრამა კარგად არის დაბალანსებული სავალდებულო და არჩევითი კურსების თანაფარდობის თვალსაზრისით, ითვალისწინებს ევროპული უნივერსიტეტების თანამედროვე გამოცდილებას და მიღწევებს. პროგრამა აგებულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და გავითარების სტანდარტის შესაბამისად, სტრუქტურა ლოგიკურია და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა
- თვითსეფასების ანგარიში
- უსდ-ს ვებგვერდი

**რეკომენდაციები:**

- არ გვაქვს

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არ გვაქვს

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.4საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | ● | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

---

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამა შედგება ძირითადი სასწავლო კურსების, არჩევითი სასწავლო კურსებისა და თავისუფალი კომპონენტებისაგან. სასწავლო კურსები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია. თითოეულის შესწავლა შესაძლოა პროგრამის სხვა სასწავლო კურს(ებ)ის შესწავლის წინაპირობა იყოს.

პროგრამაში დანერგილი სასწავლო კურსები მრავალფეროვანია და შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტებს გადასცეს ღრმა და სისტემური ცოდნა ევროპისმცოდნეობაში, რასაც უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივი მხარე. სასწავლო კურიკულუმი ამ მიზნის გარშემოა აგებული და პასუხობს პროგრამის მიზნებს. შემოთავაზებული სასწავლო კურსები ძირითადად ფარავს იმ კომპეტენციებს, რომელიც აუცილებელია ევროპისმცოდნეობის ბაკალავრის კვალიფიკაციის მისაღებად. საბაკალავრო პროგრამაში დანერგილი კურსები ინტერდისციპლინური ხასიათისაა და ემსახურება სტუდენტებისთის მრავალმხრივი ცოდნის გადაცემის მიზანს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სასწავლო პროგრამის სილაბუსები
- ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

- არ გვაქვს

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არ გვაქვს

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.5სასწავლო კურსი/საგანი | ● | ☐ | ☐ | ☐ |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ● |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

უსდ-ს განმარტებით პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

**რეკომენდაციები:**

- არ გვაქვს

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არ გვაქვს

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია | მეტწილად | ნაწილობრივ | არ არის |
|---|---|---|---|---|

| | მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | ● | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები ითვალისწინებს რეფერატებს, ესეებს რომლებშიც სტუდენტები კონცენტრირებული არიან საკითხის ანალიზზე და შეფასებაზე. პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით პროგრამაში შემავალ კურსებში გამოყენებულია სხვადასხვა სიმულაციები და ქეისები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები

**რეკომენდაციები:**

- არ გვაქვს

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არ გვაქვს

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.2პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | ● | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება - სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

წინამდებარე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისთვის გამოიყენება ისეთი მეთოდები და აქტივობები, როგორიცაა: დისკუსია/დებატები; თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება; ჯგუფური (collaborative) მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); შემთხვევების შესწავლა (Case study); გონებრივი იერიში (Brain storming); როლური და სიტუაციური თამაშები; დემონსტრირება; ინდუქციური; დედუქციური; ანალიზი; სინთეზი; ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი; წერითი მუშაობის; ახსნა-განმარტებითი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია; ლაბორატორიული; წიგნზე მუშაობა. და სხვ. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. სწავლების მეთოდების შერჩევისას ხშირ შემთხვევაში გათვალისწინებულია სასწავლო კურსის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი, რაც მიიღწევა შესაბამისი აქტივობებით: დისკუსია/დებატები, ინდივიდუალური ჯგუფური მუშაობა,სიმულაციები, შემთხვევის შესწავლა, ანალიზი და სინთეზი და სხვა. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი იყენებს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას.
საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსების სილაბუსების შინაარსის, სწავლება-სწავლის მეთოდების, თემატიკის აქტივობებისა და მეთოდების შედარების გზით იკვეთება, რომ პერსონალის მიერ გამოყენებულია ვალიდური, პირველადი ცოდნის და უნარების უზრუნველმყოფელი მეთოდები.

დაცულია სასწავლო კურსის/კურსების თავისებურებები/სპეციფიკა (თეორიული და პრაქტიკული ხასიათი).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები

**რეკომენდაციები:**

- არ გვაქვს

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არ გვაქვს

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია | ნაწილობრივ შესაბამისობაშია | არ არის შესაბამისობაში |
|---|---|---|---|---|

| | | მოთხოვნებთან | მოთხოვნებთან | მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **2.3სწავლება-სწავლის მეთოდები** | ● | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

უსდ ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით და ასევე, გათვალისწინებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს 2004 წლის 21 დეკემბრის კანონი და საქართველოს განათლებისა და ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება.

უსდ-ს განმარტებითშეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას და ორი სახის უარყოფით შეფასებას.

- (A) ფრიადი შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
- (FX) ვერ ჩააბარა მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთათვისაც შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) საბოლოო შეფასებაში განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 30 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები, რომლებიც ჯამურად შეადგენენ 70 ქულას. შეფასების თითოეული კომპონენტისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ

განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 51% პირველ ეტაპზე, ხოლო 59% მეორე და მესამე ეტაპებზე, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 51% პირველ ეტაპზე, ხოლო 60% მეორე და მესამე ეტაპებზე.

სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ იგი ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის ან შეფასების რომელიმე ფორმაში (შუალედური/დასკვნითი) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 ქულა.

სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრებასთან, საპატიო მიზეზით გაცდენილი შეფასების/გამოცდის აღდგენასთან და ასევე სტუდენტის ცოდნის შეფასებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები მოცემულია კავკასიის უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები
- უსდ-ს ვებგვერდი

**რეკომენდაციები:**

- არ გვაქვს

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არ გვაქვს

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.4სტუდენტების შეფასება | ● | ☐ | ☐ | ☐ |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|---|---|---|
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ● |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 3.1სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

## 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

| მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები | |
|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა | |
| მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა | |
| თანაფარდობა | |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- არ ითვალისწინებს.

**რეკომენდაციები:**

- არ ითვალისწინებს.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არ ითვალისწინებს.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **3.2**მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|---|---|---|
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

უსდ-ს მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებაში მითითებული აქვს რომ 2024 წლის შემოდგომის სემესტრში, კონკურსის გზით, ისტორიის პროფესორის პოზიციაზე განახლებული ვადით იქნა არჩეული პროგრამის ხელმძღვანელი ქ-ნი გურანდა ჭელიძე, რომელიც პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელობის პარალელურად ისეთ საკვანძო სასწავლო კურსებს უძღვება როგორებიც არის, პოლიტიკური მეცნიერების შესავალი, ევროპის ახალი დროის ისტორია, ევროპის თანამედროვე ისტორია - XIX ს. 70-იანი წლებიდან დღემდე, საარჩევნო სისტემები და პოლიტიკური პარტიები, ევროკავშირის გაფართოება აღმოსავლეთით, საბაკალავრო ნაშრომი. ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ლექტორებს მიეწოდათ დეტალური ინსტრუქცია კვალიფიკაციების ჩარჩოს შესახებ. ასევე, სწავლის შედეგების შემუშავების ნიმუში. ლექტორებმა წარმოადგინეს მოდიფიცირებული სილაბუსები. უსდ, ასევე, აღნიშნავს რომ გაიმართა შეხვედრები პროგრამის

მიზნებისა და სწავლის შედეგების ერთმანეთთან დაკავშირების და აღნიშნულ სქემაში თითოეული სასწავლო კურსის ლექტორის როლის შესახებ.

გარდა ამისა უსდ-მ წარმოადგინა მტკიცებულება რომ განახლდა პროგრამის პროფესორ-მასწავლებელთა რესურს ბაზა. კერძოდ, პროგრამას დაემატა ორი ახალი ლექტორი: პროფესორი ვლადიმერ ლუარსაბიშვილი და ასოცირებული პროფესორი ნანა შარიქაძე. ვლადიმერ ლუარსაბიშვილი ევროპისმცოდნეობის სტუდენტებს წაუკითხავს ფილოსოფიას და პოლიტიკურ იდეოლოგიებს, ხოლო ნანა შარიქაძე - ევროპის კულტურულ მემკვიდრეობას. ორივე მათგანი განახორციელებს ასევე საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობას. აკადემიური პერსონალის აყვანა განხორციელდა აკადემიური კონკურსის გზით, 2023 წლის შემოდგომის და 2024 წლის გაზაფხულის სემესტრებში.

შესწავლილი პირადი საქმეებიდან ირკვევა რომ, ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისგანხორციელებაში ჩართულია აკადემიური პერსონალი, რომელსაც შესაბამის სფეროში საქმიანობისთეორიული და პრაქტიკური გამოცდილებაც აქვს. მოცემულ აკადემიურ პერსონალს გააჩნია შესაბამის სფეროში დოქტორის ანმაგისტრის ხარისხი. მაგისტრის ხარისხის მქონე პერსონალს გააჩნია დარგში მოღვაწეობის მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილება.

უდს თვითშეფასებაში აღნიშნავს რომ, პროგრამაში ჩართული არიან პროფესორები დამოწვეული ლექტორები პარტნიორი უნივერსიტეტებიდან, რომელთაც აქვთ სპეციალობის სფეროში სასწავლო სტანდარტების, სასწავლო პროგრამებისსახელმძღვანელობის თუ სხვადასხვა სასწავლო რესურსების შემუშავებისა დადანერგვის, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებით განხორციელებულ სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობისმდიდარი გამოცდილება და მიმდინარე პრაქტიკა.

განხილული მაგალითების და მტკიცებულების საფუძველზე შეგვიძლია მივიჩნიოთ რომ, პროგრამის განმახორცილებელ პერსონალს გააჩნია ყველა ის უნარი და კომპეტენცია, რომელიც დაეხმარება უსდ-ს კონკრეტული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში.

| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი) | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6] | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7] | მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი |
|---|---|---|---|---|
| სულ აკადემიური პერსონალი | 20 | | | 18 |
| - პროფესორი | 9 | | | |
| - ასოცირებული პროფესორი | 11 | | | |
| - ასისტენტ-პროფესორი | 0 | | | |

[6]ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7]ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| - ასისტენტი | 0 | | | |
| მოწვეული პერსონალი | 19 | | | _ |
| სამეცნიერო პერსონალი | 0 | | | _ |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამაში ჩართული პერსონალის პროფესიული ავტობიოგრაფიები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები

**რეკომენდაციები:**

- არ გვაქვს

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არ გვაქვს

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 4.1ადამიანური რესურსი | ● | ☐ | ☐ | ☐ |

## 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსადადოქტორანტსჰყავსკვალიფიციურიხელმძღვანელი/ხელმძღვანელებიდასაჭიროებისშემთხვევაშითანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაცაქვთკვლევისსფეროშიშესაბამისისამეცნიერო-კვლევითიგამოცდილება.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

არ ითვალისწინებს.

| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | ნაშრომების ხელმძღვანელები | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები | მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი |
|---|---|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| - პროფესორი | | | |
| - ასოცირებული პროფესორი | | | |
| - ასისტენტ-პროფესორი | | | |
| მოწვეული პერსონალი | | | _ |
| სამეცნიერო პერსონალი | | | _ |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 4.2მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

## 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

უსდ-ს ინფორმაციით ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან ევროპისმცდონეობის პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განახლდა პროგრამის პროფესორ-მასწავლებელთა რესურს ბაზა. კერძოდ, პროგრამას დაემატა ორი ახალი

ლექტორი: პროფესორი ვლადიმერ ლუარსაბიშვილი და ასოცირებული პროფესორი ნანა შარიქაძე. ვლადიმერ ლუარსაბიშვილი ევროპისმცოდნეობის სტუდენტებს წაუკითხავს ფილოსოფიას და პოლიტიკურ იდეოლოგიებს, ხოლო ნანა შარიქაძე - ევროპის კულტურულ მემკვიდრეობას. ორივე მათგანი განახორციელებს ასევე საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობას. ასევე, 2024 წლის შემოდგომის სემესტრში, კონკურსის გზით, ისტორიის პროფესორის პოზიციაზე განახლებული ვადით იქნა არჩეული პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი, პროფესორი გურანდა ჭელიძე, რომელიც პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელობის პარალელურად ისეთ საკვანძო სასწავლო კურსებს უძღვება როგორებიც არის, პოლიტიკური მეცნიერების შესავალი, ევროპის ახალი დროის ისტორია, ევროპის თანამედროვე ისტორია - XIX ს. 70-იანი წლებიდან დღემდე, საარჩევნო სისტემები და პოლიტიკური პარტიები, ევროკავშირის გაფართოება აღმოსავლეთით, საბაკალავრო ნაშრომი.

უსდ-ს ინფორმციით ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ლექტორებს მიეწოდათ დეტალური ინსტრუქცია კვალიფიკაციების ჩარჩოს შესახებ და ასევე, სწავლის შედეგების შემუშავების ნიმუშები. ლექტორებმა წარმოადგინეს მოდიფიცირებული სილაბუსები. უსდ-ს ინფორმაციით გაიმართა შეხვედრები პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ურთიერთმიმართების და აღნიშნულ სქემაში თითოეული საგნის/ლექტორის როლის შესახებ. უსდ-ს მიერ არ იყო წარმოდგენილი ინფორმაცია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობ ღონისძიებებზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

- არ გვაქვს.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არ გვაქვს.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება** | ● | ☐ | ☐ | ☐ |

## 4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 4.4 მატერიალური რესურსი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

## 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 4.5პროგრამის/ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|---|---|---|
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლებისხარისხისგანვითარებისმიზნით,პროგრამაიყენებსშიდადაგარეხარისხისშეფასებებს,პერიოდულმონიტორინგსა დაშეფასებასუწევსპროგრამას.აგროვებსდააანალიზებსრელევანტურინფორმაციასშესაბამისიგადაწყვეტილებისმისაღებადდაგანსავითარებლად.

### 5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაშიჩართულიპერსონალითანამშრომლობსშიდახარისხისუზრუნველყოფისსამსახურთან/პერსონალთანპროგრამისხარისხისშეფასებისპროცესისდაგეგმვის,შეფასებისინსტრუმენტებისშემუშავებისადაშეფასებისგანხორციელებისპროცესშიდაიყენებსხარისხისშეფასებისშედეგებსპროგრამისგასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

**რეკომენდაციები:**

- არ ითვალისწინებს.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არ ითვალისწინებს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 5.1შიდა ხარისხის შეფასება | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

### 5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

**რეკომენდაციები:**

- არ ითვალისწინებს.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არ ითვალისწინებს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 5.2გარე ხარისხის შეფასება | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

### 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით.შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- არ ითვალისწინებს.

რეკომენდაციები:

- არ ითვალისწინებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ ითვალისწინებს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 5.3პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
|---|---|---|
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს კავკასიის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ევროპისმცოდნეობა, საბაკალავრო

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

| შეფასება / სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლოპროგრამის მიზანი, სწავლისშედეგებიდამათთან პროგრამისშესაბამისობა | ● | ☐ | ☐ | ☐ |
| 2. სწავლებისმეთოდოლოგიადა ორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასე ბისადეკვატურობა | ● | ☐ | ☐ | ☐ |
| 3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუ შაობა | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 4. სწავლებისრესურსებითუზრ უნველყოფა | ● | ☐ | ☐ | ☐ |
| 5. სწავლებისხარისხისგანვითა რებისშესაძლებლობები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ზურაბ ზურაბაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ანი ქვათაძე